

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით 2016 წლის 11 ნოემბრის ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმს.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახაბერ გუჯაბიძე



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ქართული ოცნება-მრეწველები"

საკრებულოს წევრის კახაბერგუჯაბიძის

ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმი

№1

ქ.ლანჩხუთი

11.11.2016 წელი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი წელიწადში ერთხელ ვალდებულია მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს წარუდგინოს ანგარიში განაცხადა საკრებულოს წევრმა, ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველების“ თავმჯდომარემ კახაბერ გუჯაბიძემ მოსახლეობასთან შეხვედრისას.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების ხელმძღვანელი ნიკოლოზ კოხანაშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა კახაბერგუჯაბიძემ აღნიშნა, რომ ის არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრი, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი.

საკრებულოს წევრმა კახაბერ გუჯაბიძემ აღნიშნა „გამარჯვებულ ქალთა კლუბზე“, რომელსაც მზია კვიციანი ხელმძღვანელობს. მისი განმარტებით კლუბი წელიწადში დაფინანსებული იყო 10 ათასი ლარით, რომელიც მათი ძალისხმევით 15 ათას ლარამდე იქნა გაზრდილი. აღნიშნული თანხა მოხმარდება ნაოპერაციები ქალბატონების რეაბილიტაციას და კულტურულ ღონისძიებებს. კერძოდ:

1. სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის 1000 ლარია გამოყოფილი, რომლითაც 12 ქალბატონი დაფინანსდა.

2. კლუბის წევრი ქალბატონებისათვის ფსიქოლოგის კონსულტაციასა და საჭირო მასალებზე 200 ლარია გამოყოფილი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ყოველწლიურად კლუბის წევრ ქალბატონებთან ლექციებს ატარებს სერტიფიცირებული ფსიქოლოგი, ეს ღონისძიება ეხმარება ამ ქალბატონებს რესოციალიზაციას საზოგადოებაში.

3. ასევე კლუბის წევრების ტრანსპორტირების თანხა შეადგენს 1600 ლარს.

დეპუტატმა კახაბერ გუჯაბიძემ აღნიშნა სამება-ჯიხეთის სამონასტრო ზონაში არსებული შუა საუკუნეების მენელსაცხებლუ დედათა სახელობის ყოფილი მონასტრის ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსების საკითხზე. მან აღნიშნა, რომ მონასტერი ლანჩხუთის მთავარ

ღირშესანიშნაობას წარმოადგენს და აქ მთელი წლის მანძილზე ათასობით მომლოცველი ჩამოდის.ჯიხეთის მონასტერი თავისი ლამაზი ბუნებითა და ანკარა წყაროებით იზიდავს ტურისტს.

დეპუტატმა კახაბერ გუჯაბიძემ აღნიშნა,რომ საკრებულოს 31-ე წევრმა მხარი დაუჭირა მონასტერზე 55 ათასი ლარის გამოყოფას,მონასტერში კიბის გაკეთებას,მაგრამ სამწუხაროა რომ საკითხი დღემდე მოუგვარებელი რჩება.მისი განმარტებით კომპლექსის კიდევ უფრო განვითარება და ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება კიდევ უფრო გაზრდის მისდამი ინტერესს,რაც საბოლოო ჯამში მრავალმხრივ სასარგებლო იქნება მუნიციპალიტეტისათვის.

ქ.ლანჩხუთში კოსტავას ქუჩაზე მცხოვრებმა ავთანდილ მეიშვილმა აღნიშნა,რომ სანიაღვრე არხები არასწორად იქნა გაყვანილი.მან ასევე აღნიშნა,რომ მისი საცხოვრებელი სახლი არის ავარიულ მდგომარეობაში,ვინაიდან საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე ცაცხვის ხის ფესვებმა,რომელიც დაახლოებით 100 წლისაა,ღობე დაანგრია,ფესვები ოთახში შევიდა და იატაკი დააზიანა.ფესვების სიძლიერემ კიბეც გაზზარა.მისი განმარტებით 7 წელია ეს საქმე გრძელდება,მაგრამ პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

საკრებულოს წევრი:



კახაბერ გუჯაბიძე